2 მაისს გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის VIII ტურის მატჩები.

საქართველოს გუნდები სტუმრად გამოდიოდნენ: თბილისის „დინამო“ მინსკში, ხოლო ლანჩხუთის „გურია“ - ვილნიუსში.

მინსკის მატჩში პირველი ტაიმი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. რამდენადმე მაინც ხელშესახები უპირატესობა არც ერთ მხარეს არ ჰქონია. ორივე გუნდი უმეტესად შუა მინდორში მოქმედებდა. სახიფათო მომენტებიც ნაკლებად იქმნებოდა. ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა ჰქონდა მხოლოდ მინსკელ ალეინიკოვს და თბილისელ გურულს.

შესვენების შემდეგ ტერიტორიულ უპირატესობას თანდათან, მეთოდურად მასპინძლები დაეუფლნენ: თბილისელები გაძლიერებული ძალებით იგერიებდნენ მეტოქის იერიშებს და მხოლოდ იშვიათი კონტრშეტევებით ტუ პასუხობდნენ, თუმცა, ამ მომენტებშიც შეეძლოთ წარმატების მოპოვება: ერთ-ერთი ასეთი მანევრის დროს ჟორდანია ოდნავ ვერ მისწვდა ბურთს. მატჩის დასასრულს კი რევიშვილმა ვერ გამოიყენა საუკეთესო მდგომარეობა.

შუა ტაიმში მინსკელები ხანგრძლივ შეტევაზე გადავიდნენ. სტუმრები თითქმის მთელი შემადგენლობით იცავდნენ თავს. შეტევის ხაზზე იშვიათად, მხოლოდ ინდივიდუალური გარღვევის შედეგად თუ გავიდოდა ვინმე. მინსკელთა ერთ-ერთი იერიში-ს დროს გოცმანოვმა ძელს მოახვედრა ბურთი, მაგრამ ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მასპინძლებმა ვერ გამოიყენეს თავიანთი ეს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა და ფრეს დასჯერდნენ - 0:0.

მეტოქეებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს: მინსკი - საცუნკევიჩი, ბოროვსკი, ტრუხანი, იანუშევსკი, სოკოლი, ზიგმანტოვიჩი, გოცმანოვი, კისტენი, ალეინიკოვი, შალიმო (გომანოვი, 79), კონდრატიევი. თბილისი - გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, ჭედია, ცვეიბა, რევიშვილი (მალანია, 86), ჟორდანია, სულაქველიძე, ცაავა (კორღალიძე, 81), კაკილაშვილი, გურული.

მსაჯი ვ. ბუტენკო (მოსკოვი). დუბლიორები - 3:1.

თბილისელთაგან ბურთი ფანცულაიამ გაიტანა.

ლელო 5.05.1987